| | |
|---|---|
| **ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მომსახურების ხელშეკრულება № [-]**<br><br>**ქ. თბილისი** [-].[-].202[-] წ.<br><br>ერთი მხრივ **შპს „ლუკოილ-ჯორჯია“,** შემდგომში წოდებული როგორც **“გამგზავნი”,** წარმოდგენილი მისი დირექტორის [-] სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე<br><br>და<br><br>მეორე მხრივ [-], შემდგომში წოდებული “**გადამზიდი**”, 202[-] წლის [-][-] ტენდერში გამარჯვებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის [-] სახით, მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციისა და შემსრულებლის სატენდერო შეთავაზების პირობებით,<br><br>ერთობლივად წოდებულნი **„მხარეები“,** დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე და ამავდროულად, მხარეები აღიარებენ, რომ თუ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლინდება, რომ შემსრულებლის სატენდერო შეთავაზება რაიმე მიზეზით არ შეესაბამება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის განმსაზღვრელი (პრიორიტეტული) პირობები იქნება დამკვეთის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები:<br><br>"**სატენდერო დოკუმენტაცია**" ნიშნავს დოკუმენტების პაკეტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტენდერის ობიექტსა და საგანთან დაკავშირებული ტექნიკური, კომერციული, ორგანიზაციული და სხვა მოთხოვნების შესახებ, ინფორმაციას მისი ჩატარების პირობებისა და პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების პროექტს, კონტრაჰენტის მოთხოვნებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც კონტრაჰენტებს ეგზავნება სატენდერო წინადადების მომზადებისთვის, ხოლო **„სატენდერო წინადადების**“ ქვეშ - კონტრაჰენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების პაკეტი. | **Договор по оказанию услуг транспортировки нефтепродуктов №[-]**<br><br>**Тбилиси** [-].[-].202[-] г.<br><br>**ООО “ЛУКОЙЛ-Джорджия”**, именуемое в дальнейшем **“Отправитель”**, представленный в лице его Директора [-], действующего на основании Устава, с одной стороны,<br><br>И<br><br>[-], именуемое в дальнейшем **“Перевозчик”**, победившее на тендере, проведенном [-].[-].202[-], представленный в лице Директора [-], настоящий договор заключён на условиях тендерной документации Заказчика и тендерного предложения Исполнителя, с другой стороны<br><br>Совместно именуемые **“Стороны”**, заключили настоящий договор о нижеследующем, и при этом Стороны признают, что если в ходе исполнения договора будет выявлено, что по каким-либо причинам в тендерном предложении Исполнителя имеются несоответствия требованиям тендерной документации Заказчика, то определяющими (приоритетными) условиями исполнения настоящего договора будут являться требования тендерной документации Заказчика:<br><br>Под «**Тендерной документацией**» понимается пакет документов, содержащих информацию о технических, коммерческих, организационных и иных требованиях к объекту и предмету тендера, сведения об условиях и порядке его проведения, проект Договора, требования к претенденту и другие требования, направляемый контрагентом для подготовки тендерного предложения, а под «**Тендерным предложением**» – пакет документов, подготовленный контрагентом в соответствии с требованиями тендерной документации. |
| **1. ხელშეკრულების საგანი**<br>**1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გადამზიდი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურების გაწევა, ხოლო გამგზავნი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს აღნიშნული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.<br>**1.2.** გადამზიდი იღებს ვალდებულებას გადაზიდოს ნავთობპროდუქტები (შემდგომში - ტვირთი) საკუთარი ძალებით და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფით. ტვირთი უნდა იყოს მიწოდებული დანიშნულების ადგილზე და გადაცემული გამგზავნის უფლებამოსილ პირზე.<br>**1.3.** გამგზავნისაგან ტვირთის მიღების ადგილია გამგზავნის ნავთობბაზა, ძეგვში, და ტვირთის გადაცემის ადგილი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით. მონაცემები ასევე აისახება გადაზიდვის თანმდევ სპეციალურ ანგარიშ-ფაქტურაში და ელექტრონულ საგადასახადო ზედნადებებში.<br>**1.4.** ტვირთის გადაზიდვისას იქმნება მატერიალური პასუხისმგებლობის გადაცემის ორი წერტილი. პირველი - ნავთობბაზაში ნავთობპროდუქტის ავტოცისტერნებში ჩასხმისას, მატერიალური პასუხისმგებლობა გადადის ნავთობბაზიდან გადამზიდზე. მეორე - ნავთობპროდუქტის დაცლისას აგს-ზე, მატერიალური პასუხისმგებლობა გადადის გადამზიდიდან ავტოგასამართი სადგურის კოლექტივზე (აგს). | **1. Предмет договора**<br>**1.1.** По настоящему договору Перевозчик обязан выполнить свои обязанности в соответствии с требованиями данного договора, а Отправитель обязуется оплачивать эти услуги в порядке, предусмотренном данным Договором.<br><br>**1.2.** Перевозчик обязуется осуществить транспортировку нефтепродуктов (далее - груз) своими силами и по тарифу, определенному данным договором. Груз должен быть доставлен в место назначения и передан уполномоченному лицу Отправителя (материально ответственное лицо на АЗС – директор АЗС).<br><br>**1.3.** Местом получения груза от Отправителя является нефтебаза Отправителя, в (Дзегви, Кутаиси, Батуми), а место передачи груза указывается в Приложении № 1 к настоящему Договору. Данные также отражаются в специальной счет-фактуре и электронных накладных, сопровождающих отгрузку.<br>**1.4.** При перевозке груза создаются два пункта перехода материальной ответственности. Первый - при наливе нефтепродукта в автоцистерны на нефтебазе материальная ответственность переходит от Отправителя к Перевозчику, второй - при отгрузке нефтепродукта на АЗС материальная ответственность переходит с Перевозчика на персонал АЗС. |
| **2. მხარეთა უფლება და ვალდებულებები**<br>**2.1. გადამზიდი ვალდებულია:**<br>**2.1.1.** მომსახურება გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;<br>**2.1.2.** გამგზავნის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოუდგინოს მას უტყუარი ინფორმაცია მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებების შესახებ, გამგზავნის მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის | **2. Право и обязанности сторон**<br>**2.1. Перевозчик обязан:**<br>**2.1.1.** предоставлять услуги в соответствии с условиями данного Договора;<br>**2.1.2.** по требованию Отправителя предоставлять ему полную и достоверную информацию о ходе выполнения Исполнителем настоящего Договора в течение 1 (одного) рабочего дня с даты получения устного или письменного запроса Отправителя; |

განმავლობაში მას მერე, რაც გადამზიდი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიიღებს მოთხოვნას ამის შესახებ;
**2.1.3.** ნავთობპროდუქტის გადაზიდვისთვის გამოიყენოს ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებები;
**2.1.4.** ნავთობპროდუქტის გადაზიდვა განახორციელოს მხარეთა მიერ ელ-ფოსტით ან სხვა საშუალებით შეთანხმებულ ვადაში.
**2.1.5.** უზრუნველყოს გადაზიდვის განმახორციელებელი პერსონალის პასუხისმგებლობის დაზღვევა გადაზიდვებისას;
**2.1.6.** გადაზიდვებზე დაუშვას თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, სამუშაოთა შესრულებაზე სრული სანებართვო დოკუმენტაციის მქონე და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებისათვის მორგებული სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფილნი;
**2.1.7.** გამოიყენოს გამგზავნის საწვავი ბენზინმზიდებისთვის. საწვავის შეძენის პირობები განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით;
**2.1.8.** მოახდინოს გამგზავნის იფორმირება ბენზინმზიდით მანამდე გადატანილი ნავთობპროდუქტის შესახებ, გაითვალისწინოს ბენზინისა და დიზელის საწვავის შერევის გარეშე ნავთობპროდუქტების გადატანის შესაძლებლობ, გამოირიცხოს ნავთობპროდუქტების შერევა ავტოსატრანსპორტო საშუალების ცალკეულ სექციებში, არ გამოიყენოს სექციები სხვადასხვა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისთვის;
**2.1.9.** დამოუკიდებლად განახორციელოს ბენზინმზიდების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
**2.1.10.** დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლისას, არ განახორციელოს ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლის პროცედურები ავტოცისტერნის დამიწების გარეშე, ნავთობპროდუქტების ჩასხმისა და დაცლის დროს უზრუნველყოს მძღოლ-ექსპედიტორის უწყვეტი ყოფნა ბენზინმზიდის ჩასხმის ბაქანზე;
**2.1.11.** უზრუნველყოს დანიშნულების ადგილამდე იმ დასახელებისა და ხარისხის ნავთობპროდუქტების გადაზიდვა, როგორც აღნიშნულია სპეციალურ საგადასახადო დეკლარაციაში მხარეთა შორის შეთანხმებული მარშრუტის შესაბამისად და გონივრულ ვადებში, პლომბების დაზიანებისა და ტვირთის დანაკლისის გარეშე;
**2.1.12.** გადამზიდი ვალდებულია წარმოუდგინოს გამგზავნს ბენზინმზიდების ავზებზე მოქმედი გრადუირების ცხრილების ასლები, ასევე დროულად მოახდინოს აღნიშნული დოკუმენტების განახლება. კალიბრაციის ცხრილები მიღებულ უნდა იქნენ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციაში;
**2.1.13.** ტვირთის გადაზიდვისას ტვირთსა და მისი დაცულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადამზიდს;
**2.1.14.** გადამზიდი ვალდებულია, ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას, გამორიცხოს მძღოლ-ექსპედიტორების მხრიდან ნავთობპროდუქტებზე არასანქცირებული წვდომის ფაქტები;
**2.1.15.** გადამზიდი უფლებამოსილია გამგზავნისაგან მოითხოვოს სახელშეკრულებო პირობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

**2.2.** **გამგზავნი ვალდებულია:**
**2.2.1.** გადაუხადოს გადამზიდს გაწეული მომსახურების ღირებულება, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;
**2.2.2.** ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანისას, უზრუნველყოს შესაბამისი სადგურის პასუხისმგებელი პირის მიერ, ტვირთის დაუყოვნებელი მიღება;
**2.2.3.** გამგზავნი უფლებამოსილია გადამზიდისგან მოითხოვოს სახელშეკრულებო პირობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

**2.1.3.** использовать технически исправные транспортные средства для перевозки нефтепродуктов;
**2.1.4.** отгрузку нефтепродуктов осуществлять в срок, согласованный между Сторонами по электронной почте или иным способом;
**2.1.5.** обеспечивать страхование ответственности персонала, осуществляющего перевозку;
**2.1.6.** для выполнения данного договора допускать работников, прошедших соответствующее обучение по пожарной безопасности и охране труда, обеспеченных полной разрешительной документацией и приспособленных к перевозке нефтепродуктов специальными формами;
**2.1.7.** использовать топливо Отправителя для бензовозов. Условия приобретения топлива определяются отдельным договором;
**2.1.8.** Информировать Отправителя о нефтепродуктах, ранее перевозившихся бензовоз, учитывать возможность перевозки нефтепродуктов без смешения бензина и дизельного топлива; исключить смешение нефтепродуктов в отдельных секциях автотраспортного средства, не использовать секции для перевозки разноименных нефтепродуктов.
**2.1.9.** Самостоятельно осуществлять техническое обслуживание и ремонт бензовозов;
**2.1.10.** Соблюдать правила пожарной безопасности и охраны труда при наливе и сливе нефтепродуктов, не проводить процедуры розлива и слива нефтепродуктов без заземления автоцистерн, обеспечить постоянное присутствие водителя-экспедитора на заправочной платформе бензовоза при погрузке и выгрузке нефтепродуктов;
**2.1.11.** обеспечивать перевозку нефтепродуктов того же наименования и качества, как указано в специальной налоговой декларации, в соответствии с согласованным между сторонами маршрутом и в разумные сроки, без повреждения пломб и без потери груза;
**2.1.12.** Перевозчик обязан предоставить Отправителю копии действующих градуировочных таблиц на бензовозах, а также своевременно обновлять указанные документы. Калибровочные таблицы должны быть получены в соответствующей аккредитованной организации;
**2.1.13.** Перевозчик несет ответственность за груз и его сохранность во время перевозки груза;
**2.1.14.** Перевозчик обязан исключить факты несанкционированного доступа водителей-экспедиторов к нефтепродуктам при перевозке нефтепродуктов;
**2.1.15.** Перевозчик вправе требовать от грузоотправителя добросовестного и надлежащего выполнения условий договора.

**2.2.** **Отправитель обязан:**
**2.2.1.** оплатить Исполнителю стоимость оказанных услуг, стоимость которых определяется данным договором.
**2.2.2.** при доставке груза в пункт назначения обеспечить немедленное получение груза ответственным лицом соответствующей станции;
**2.2.3.** Отправитель вправе требовать от Перевозчика добросовестного и надлежащего выполнения условий договора.

## 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

**3.1.** გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ლიტრზე ყოველი ლოტისთვის განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში.
**3.2.** გადაზიდვებზე ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველ საანგარიშო თვეში სამჯერ, გადაზიდული ნავთობპროდუქტების რაოდენობის შესაბამისად, გადაზიდვის დაწყების ყოველი მეათე დღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, სასაქონლო ზედნადების/ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
**3.3.** გადამზიდის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში, გამგზავნს უფლება აქვს დააყოვნოს შესრულებული მომსახურების თანხის გადარიცხვა იმ დღეების

## 3. Стоимость услуг и порядок оплаты

**3.1.** Стоимость перевозки за каждый литр определена в Приложении № 1 данного договора.

**3.2.** Перевозка оплачивается три раза в каждом отчетном месяце, в зависимости от количества отгруженных нефтепродуктов, начиная с каждого десятого дня отгрузки, после предоставления товарных накладных/налоговых счет-фактур, в течение 45 календарных дней.
**3.3.** В случае невыполнения Перевозчиком обязанности по договору, Отправитель имеет право задержать оплату за выполненные услуги пропорционально количеству дней, на

| | |
|---|---|
| ოდენობის პროპორციულად, რამდენითაც დაგვიანდება მომსახურების გაწევა გამგზავნისათვის. ამასთან გამგზავნს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ანგარიშწორების ვადების დარღვევის გამო. | протяжении которых услуга не была предоставлена Отправителю. При этом Отправитель не несет ответственности за нарушение сроков оплаты. |
| **4. მხარეთა პასუხისმგებლობა**<br>**4.1.** მხარეები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.<br>**4.2.** წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტის პირობების შეუსრულებლობისას, გადამზიდი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს გამგზავნს მიყენებული დანაკარგები, და ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებისათვის გადაიხადოს პირგასამტეხლო წინა თვეში წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული გადაზიდვების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.<br>**4.3.** გადამზიდის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის პირობების შეუსრულებლობისას, კერძოდ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ერთი თვით ადრე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, გამგზავნი უფლებამოსილია მოითხოვოს გადამზიდისგან ჯარიმის სახით თანხის გადახდა წინა თვეში წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების ღირებულების ოდენობით.<br>**4.4.** შემსრულებელი იძლება გარანტიას, რომ აქვს შესაბამისი ცოდნა, ნებართვა თუ სხვა სამართლებრივი თუ ტექნიკური საფუძველი, შეასრულოს წინამდებარე ხელშეკულებით ნაკისრი ვალდებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვითა და დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. შემსრულებელი ადასტურებს, რომ შეკვეთა ეფუძნება შემსრულებლის ექსპერტულ ცოდნას/გამოცდილებას და შესაბამისად, იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების შესრულებისთვის გამოიყენებს შესაბამის მეთოდოლოგიებსა და სტანდარტებს. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებით, მის მიერ შესრულებულ სამუშაოს შედეგად, თუ ზიანი მიადგება დამკვეთს ან/და მის ქონებას, შემსრულებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა. | **4. Ответственность сторон**<br>**4.1.** В случае невыполнения или ненадлежащего выполнения обязательств по настоящему договору стороны несут ответственность в соответствии с действующим законодательством Грузии.<br>**4.2.** В случае невыполнения условий пункта 2.1. данного договора, Перевозчик обязан полностью возместить убытки, понесенные Отправителем, и уплатить неустойку за ненадлежащее исполнение обязательств в размере 5 % от общей стоимости выполненных услуг в предыдущем месяце в рамках данного договора.<br>**4.3.** В случае несоблюдения Перевозчиком условий пункта 5.2. настоящего договора, в частности в случае неуведомления о расторжении договора за один месяц, Отправитель вправе потребовать неустойку от Перевозчика в размере стоимости услуг в предыдущем месяце в рамках данного договора.<br>**4.4.** Исполнитель гарантирует, что у него есть соответствующие знания, разрешения или иных правовые, или технические основания для исполнения обязательства по настоящему договору с соблюдением стандартов, предусмотренных законодательством Грузии, и в соответствии с требованием Заказчика. Исполнитель подтверждает, что заказ основан на экспертных знаниях/опыте Исполнителя, и соответственно гарантирует, что он будет использовать соответствующие методологии и стандарты для выполнения услуги. С учетом всего вышеизложенного, в результате выполненных им работ, в случае причинения ущерба Заказчику и/или его имуществу, исполнитель несет полную материальную ответственность. |
| **5. ხელშეკრულების მოშლა**<br>**5.1.** წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, მხარეთა შეთანხმებით.<br>**5.2.** წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის შესახებაც ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეწყვეტის განზრახვის შესახებ.<br>**5.3.** გამგზავნი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერი საჯარიმო სანქციის გარეშე, რის შესახებაც გამგზავნი ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეწყვეტის განზრახვის შესახებ.<br>**5.4.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **202[-] წლის [-] [-] და მოქმედებს 202[-] წლის [-] [-].**<br>**5.5.** წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია მოხდეს წერილობითი ფორმით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ეს ცვლილებები და დამატებები შემდგომ წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. | **5. Расторжение Договора**<br>**5.1.** Расторжение данного договора, возможно по согласию сторон.<br>**5.2.** Данный договор может быть расторгнут по инициативе одной из сторон и Сторона, которая расторгает договор обязан в письменной форме уведомит второй стороне о расторжении данного договора за 1 (один) месяц до такого намерения.<br>**5.3.** Отправитель вправе расторгнуть данный договор в любое время без каких-либо негативных санкций, и Отправитель обязан в письменной форме уведомит второй стороне о расторжении данного договора за 1 (один) месяц до такого намерения.<br>**5.4.** Данный договор вступает в силу с [-] [-] 202[-] **года и действует в течение до [-] [-] 202[-] года.**<br>**5.5.** Изменения и дополнения в данном договоре могут быть внесены в письменной форме по взаимному согласию Сторон. Данные изменения и дополнения являются неотъемлемой частью настоящего договора. |
| **6. დავების მოგვარების წესი**<br>**6.1.** ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნა და უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებას, მხარეები დაარეგულირებენ მოლაპარაკების გზით.<br>**6.2.** თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **6. Порядок урегулирования споров**<br>**6.1.** Все споры и разногласия, возникающие из настоящего договора и в связи с ним, стороны урегулируют путем переговоров.<br>**6.2.** Если стороны не могут прийти к согласию, спор решается в соответствии с действующим законодательством Грузии. |
| **7. კონფიდენციალურობა**<br>**7.1.** კონფიდენციალური ინფორმაცია (შემდგომში - კონფიდენციალური ინფორმაცია) მოიცავს:<br>• ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც გადამზიდისათვის გახდა ცნობილი გამგზავნისაგან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა გამოიწვიოს გამგზავნის დაზარალება და/ან საქმიანი რეპუტაციის შერყევა;<br>• წინამდებარე ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი; | **7. Конфиденциальность**<br>**7.1.** К конфиденциальной информации (далее – Конфиденциальная информация) относятся:<br>• любая информация, ставшая известной Перевозчику от Отправителя в связи с исполнением настоящего договора и разглашение которой может явиться причиной нанесения убытков Отправителю и/или вреда деловой репутации Отправителя; |

| | |
|---|---|
| • ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულების მხარემ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღამდე ან მის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას ან მოქმედების დასრულების შემდეგ, ან რომელიც უნდა შედგეს რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისას, საჯარო მონაცემების გარდა;<br>• ნებისმიერი ინფორმაცია, რომელთაც მხარეები ჩათვლიან რომ წარმოადგენს კონფიდენცუალურ ინფორმაციას, გარდა ისეთი ინფორმაციისა, რომელიც ისედაც საჯარო და ცნობილია მესამე პირთათვის.<br>**7.2.** გადამზიდი თავის თავზე იღებს შემდეგ ვალდებულებებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით:<br>**7.2.1.** გადამზიდი დაავალდებულებს თავის თანამშრომლებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან სამუშაოს შესრულებასთან და ხელი მიუწვდებათ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, შეზღუდონ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება და არ დაუშვან მისი გადაცემა სხვა პირებზე;<br>**7.3.** გადამზიდი თანახმაა, შეინარჩუნოს ინფორმაციის კონფიდენციალობა წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ უვადოდ.<br>**7.4.** გადამზიდს შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, სხვა სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას იმ ფარგლებში, რამდენადაც მოთხოვნილია. ამ შემთხვევაში გადამზიდი ვალდებულია, დაუყოვნებლივ ჩააყენოს გამგზავნი საქმის კურსში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის აუცილებლობის შესახებ.<br>**7.5.** იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდის ქმედებების (უმოქმედობის) შედეგად და/ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო კონფიდენციალური ინფორმაცია მთლიანად და/ან ნაწილობრივ გახდება ცნობილი პირებისთვის, რომლებიც არ შედიან პირთა წრეში, ვისაც შეიძლება გადაეცეს ეს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების 7.4. პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მაშინ გადამზიდი ვალდებულია დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ასეთი გამჟღავნების ფაქტი, წერილობით აცნობოს გამგზავნს ამ ფაქტის შესახებ. გადამზიდი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს გამგზავნის მიერ მითითებული ზომები.<br>**7.6.** წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გადამზიდი ვალდებულია, დაუბრუნოს გამგზავნს ინფორმაციის ყველა მატარებელი, რომელიც მიეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას.<br>**7.7.** იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7. მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა გამოიწვევს გამგზავნის დაზარალებას და/ან გამგზავნის საქმიანი რეპუტაციის შერყევას, გადამზიდი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. | • данный договор и все документы, оформленные на основании данного договора;<br>• Любая информация или документ, которые должны быть предоставлены от одной Стороны другой Стороне до или после подписания договора, при расторжении или истечении срока действия договора, или должны быть составлены любой Стороной при подписании договора, за исключением публичных данных;<br>• любая информация, которую стороны считают конфиденциальной, за исключением информации, которая уже является общедоступной и известна третьим сторонам.<br>**7.2.** Перевозчик принимает на себя следующие обязательства по охране Конфиденциальной информации:<br>**7.2.1.** Перевозчик обяжет своих работников, которые напрямую связаны с выполнением работ, требующих доступа к Конфиденциальной информации, ограничить распространение Конфиденциальной информации и не допускать ее передачу иным лицам;<br>**7.3.** Перевозчик обязуется сохранять режим Конфиденциальной информации на неопределенный срок.<br>**7.4.** Перевозчик может предоставить по мотивированному требованию органа государственной власти, иного государственного органа, органа местного самоуправления информацию, относящуюся к Конфиденциальной информации в пределах того, насколько это требуется. При этом Перевозчик обязан незамедлительно уведомить Отправителя о необходимости такого предоставления соответствующей информации.<br>**7.5.** В случае, если в результате действий (бездействий) Перевозчика и/или по обстоятельствам, от него не зависящим, Конфиденциальная информация станет полностью и/или частично известна лицам, не относящимся к кругу лиц, которым она может быть предоставлена в соответствии с требованиями пункта 7.4. данного договора, Перевозчик обязан незамедлительно после того, как ему станет известно о таком раскрытии, письменно уведомить Отправителя о факте такого раскрытия. Перевозчик обязан незамедлительно принять меры, указанные ему Отправителем.<br>**7.6.** Не позднее 10 (десять) календарных дней после прекращения срока действия настоящего договора Перевозчик обязан возвратить Отправителю все носители с информацией, относящиеся к Конфиденциальной информации.<br>**7.7.** В случае, если несоблюдение требований статьи 7. данного договора станет причиной нанесения убытков Отправителю и/или вреда деловой репутации Отправителя, Перевозчик будет нести ответственность в соответствии с действующим законодательством и в соответствии с условиями, установленными данным договором. |
| **8. ინფორმაციის გაცვლა და შეტყობინებები**<br>**8.1.** მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის კომუნიკაცია ხდება წერილობითი ან/და ელ.ფოსტის საშუალების მეშვეობით.<br>**8.2.** მხარები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუყონებლივ აცნობონ ხელშეკრულებაში მოცემული რომელიმე რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. შეუტყობინებლობის შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება მოქმედად და მასზე გაგზავნილი ინფორმაცია მხარისთვის ჩაბარებულად.<br>**8.3.** მხარეები თანხმდებიან, საკონტაქტო პირებისთვის მითითებულ ელ. ფოსტაზე ან/და მხარეთა ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება იურიდიული ძალის მქონედ, მეორე მხარის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ შეტყობინების გაგზავნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში არ დაადასტურა შეტყობინების მიღება, შეტყობინება ჩაითვლება მხარის მიერ მიღებულად.<br>**8.4.** მხარეები თანხმდებიან, რომ გამონაკლისის გარეშე ნებისმიერი საქმიანი კორესპოდენდენცია, რომელიც გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ელ-ფოსტიდან, წარმოადგენს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მხრიდან ჯეროვნად გაგზავნილ კორესპონდენციას და ორივე მხარისათვის აქვს შესაბამისი სავალდებულო ძალა. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს | **8. Обмен информацией и уведомления**<br>**8.1.** Стороны согласуются, что коммуникация между ними осуществляется посредством письменной и/или эл. почты.<br>**8.2.** Стороны обязаны немедленно сообщать друг другу об изменении реквизитов, указанных в договоре. В случае неуведомленные любая информация считается действительным, и отправленная информация считается доставленным стороне.<br>**8.3.** Стороны согласуются, что уведомление, отправленное на эл. почту для контактных лиц и/или на официальную почту сторон имеет юридическую силу, в случае подтверждения эл-почты со стороны второй стороны. В случае, если другая сторона не подтвердит получение уведомления в течение 1 рабочего дня после отправки уведомления стороной, уведомление считается полученным.<br>**8.4.** Стороны признают, что любая без исключения деловая корреспонденция, отправленная с адресов электронной почты, указанных в настоящем договоре, является исходящей от надлежащим образом уполномоченных представителей сторон и |

| | |
|---|---|
| მათ ელ-ფოსტასთან არასანქცირებული წვდომის თაობაზე. აღნიშნულის შეტყობინების არ არსებობა, ართმევს მეორე მხარეს უფლებას მიუთითოს მესამე პირის მიერ მის ელ-ფოსტაზე არასანქცირებულ წვდომაზე. | имеет обязательную для обеих сторон силу. Стороны обязуются незамедлительно сообщать друг другу обо всех случаях несанкционированного доступа к их электронным ящикам. Исполнение, произведенное стороной договора в отсутствие у нее такого уведомления, признается надлежащим и лишает вторую сторону права ссылаться на указанные обстоятельства. |
| **9. პერსონალური მონაცემები**<br>**9.1.** წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით გადამზიდი, როგორც ხელშემკვრელი მხარე, გამგზავნს ანიჭებს უფლებამოსილებას სახელშეკრულებო ურთიერთობის გამართულად წარმართვის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მოიპოვოს, შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები.<br>**9.2.** გადამზიდი ანიჭებს გამგზავნს უფლებამოსილებას, რომ გადამზიდის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა: (1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, (2) ხარისხისა და რისკის მართვის შემოწმებები, (3) მომსახურების სპექტრის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, (4) დავა და სამართალწარმოება, (5) კანონმდებლობის ან რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.<br>**9.3.** გადამზიდი აცხადებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნას მომხმარებელთა ბაზაში დარეგისტრირებისა მიზნით, გამგზავნის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადამდე, სანამ იგი გადამზიდის მხრიდან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას.<br>**9.4.** გადამზიდისათვის ცნობილია, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია გამგზავნთან არსებული მისი პერსონალური მონაცემების თაობაზე, ასევე მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. აგრეთვე, გამოიხმოს მისი თანხმობა, ნებისმიერ დროს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. | **9. Персональные данные**<br>**9.1.** С подписанием данного документа, Перевозчик уполномочивает отправителя с целью надлежащего осуществления договорных отношений, получать, собрать, хранить и обрабатывать его личные данные для достижения вышеуказанной цели.<br>**9.2.** Перевозчик предоставляет Отправителю право обрабатывать персональные данные, предоставленные Перевозчиком, для следующих целей: (1) предоставление услуги по договору; (2) проверки качества и управления рисками, (3) предоставление Сублицензиату информацию о спектре услуг, в том числе в электронном виде; (4) спор и судебный процесс, (5) соблюдение требований закона или регуляции, и другие случаи, определенные законодательством и данным договором.<br>**9.3.** Перевозчик соглашается Отправителю использовать свои персональные данные для регистрации в Базе данных клиентов в течение периода, указанного во внутренней нормативной документации Отправителя, или до тех пор, пока Отправитель не получит другую ссылку от Перевозчика.<br>**9.4.** Перевозчик осведомлен о том, что он может в любое время запросить информацию о своих личных данных от Отправителя, а также потребовать их исправления, обновления, добавления, блокировки, удаления и уничтожения. Также в любой момент отозвать свое согласие на основании письменного заявления в соответствии с правилами, установленными законодательством Грузии. |
| **10. სხვა დებულებები**<br>**10.1.** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება გამგზავნის მიერ შემოწმებების საფუძველზე (გამგზავნის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე).<br>**10.2.** წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ნაკისრი უფლებები ან მოვალეობები ნებისმიერ მესამე მხარეს, მეორე მხარისგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.<br>**10.3.** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ და რუსულ ენებზე. თითო ეგზემპლიარი გადაეცემა თითოეულ მხარეს. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, თარგმანის სირთულეებიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე.<br>**10.4.** წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი ხელშეკრულებები/სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, დანართები, რომლებიც დამოწმებულია მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერებით და ბეჭდით, წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. | **10.Иные условия**<br>**10.1.**Контроль за выполнением условий данного договора происходит путем проведения проверок (по усмотрению Отправителя).<br><br>**10.2.**Ни одна из сторон не имеет права передавать свои права и обязанности по настоящему Договору третьим лицам без письменного согласия на то другой стороны.<br><br>**10.3.**Настоящий Договор, составлен в двух экземплярах, по одному экземпляру для каждой из сторон, на русском и грузинском языках, причем оба текста аутентичны и имеют одинаковую юридическую силу. В случае разночтений, связанных с трудностью перевода Стороны, устанавливают приоритет текста договора, изложенного на грузинском языке.<br>**10.4.**Дополнительные соглашения/другие правовые документы к данному Договору, Приложения, подписанные уполномоченными представителями сторон и скрепленные печатью, являются неотъемлемой частью Договора. |
| **გამგზავნი:**<br>**შპს „ლუკოილ- ჯორჯია“**<br>**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, 11<br>**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204976302<br><br>**დირექტორი**<br><br>_____________________ [-] | **Отправитель:**<br>**ООО "ЛУКОЙЛ-Джорджия"**<br>**Адрес**: Грузия, г. Тбилиси, набережная Гейдара Алиева, №11<br>**Идентификационный код:** 204976302<br><br>**Директор**<br><br>_____________________ [-] |

| | |
|---|---|
| **გადამზიდი:**<br>[-]<br>**მისამართი:** [-]<br>**საიდენტიფიკაციო კოდი:** [-]<br><br>ანგარიშის ნომერი: [-]<br><br>**დირექტორი**<br><br>______________________ [-] | **Перевозчик:**<br>[-]<br>**Адрес**: [-]<br>**Идентификационный код:** [-]<br><br>№ СЧЕТА: [-]<br><br><br>**Директор**<br><br>______________________ [-] |

## დანართი №1

202[-] წლის [-] [-] ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მომსახურების ხელშეკრულებაზე
№ [-]

## Приложение №1

К договору по оказанию услуг транспортировки нефтепродуктов №[-] от [-] [-] 202[-] года

1. ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ტარიფები დადგენილია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე და მისი გადამზიდის მიერ ცალმხრივად მათი ცვლილება არ ხდება. ტარიფების გადახედვა ხდება ყოველთვიურად გამგზავნის პროდუქტზე „დიზელის ევრო საწვავი"-ს საცალო სარეალიზაციო ფასის 3%-ით ან მეტი ცვლილების შემთხვევაში, და ამავდროულად, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ტარიფი შეიძლება გადაიხედოს სარეალიზაციო ფასის ცვლილების მიმართულებით საცალო ფასის ცვლილების 50%-ის ოდენობით (მაგალითად, ევრო დიზელის საწვავის საცალო სარეალიზაციო ფასის 3%-ით გაზრდის შემთხვევაში ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ტარიფი გაიზრდება 1,5%-ით და პირიქით (ივარაუდება, რომ ნავთობპროდუქტებზე ხარჯების წილი ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ტარიფის ოდენობის 50%-ია)). ტარიფების გადახედვა დაფიქსირდება მხარეების მიერ ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებებში.

Тарифы на перевозку нефтепродуктов устанавливаются на весь период действия настоящего Договора и не могут быть изменены Перевозчиком в одностороннем порядке. Пересмотр тарифов осуществляется ежемесячно в случае изменения розничной цены реализации Отправителя по продукту «Дизельное топливо Евро» на 3% и более, при этом тариф на перевозку нефтепродуктов может быть пересмотрен в сторону изменения цены реализации в размере 50% от величины изменения розничной цены. (К примеру, в случае увеличения розничной цены реализации дизельного топлива Евро на 3%, тариф на перевозку нефтепродуктов увеличится на 1,5% и наоборот (предполагается, что доля расходов на нефтепродукты составляет 50% от величины тарифа на перевозку нефтепродуктов)). Пересмотр тарифов будет фиксироваться Сторонами в дополнительных соглашениях к Договору.

ლოტი 1

Лот 1

**წინამდებარე ლოტისთვის გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ერთ ლიტრ საწვავზე განისაზღვრება შემდეგნაირად:**

**ძეგვი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;**

**ბათუმი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;**

**ქუთაისი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;**

**ყულევი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;**

**Для данного лота стоимость транспортировки за литр топлива определяется следующим образом:**

**Дзегви - [-] лари с НДС;**

**Батуми - [-] лари с НДС;**

**Кутаиси - [-] лари с НДС;**

**Кулеви - [-] лари с НДС;**

| № აგს / АЗС | მისამართი / Адрес | ძეგვი Дзегви | ბნტ БНТ | ქუთაისი Кутаиси | ყულევი Кулеви |
|---|---|---|---|---|---|
| | | კმ /км | კმ /км | კმ /км | კმ /км |
| **№01** | თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მიმდებარე ტერიტორია ქ. გოთუას<br>Тбилиси, Правая набережная реки Мтквари, Прилегающая территория ул. Готуа | 24 | 375 | 240 | 324 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| №02 | თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 13<br>Тбилиси, Аллея Агмашенебели сеч.13 | 16 | 367 | 232 | 316 |
| №03 | თბილისი, მარცხენა სანაპირო დიდუბე<br>Тбилиси, Левая Набережная сектор Дидубе | 24 | 375 | 240 | 324 |
| №04 | თბილისი, აღმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის კვეთა<br>Тбилиси, Сеч.аллей Агмашенебели и Микеладзе | 20 | 371 | 236 | 320 |
| №05 | თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ფონიჭალის ხიდის მარცხენა მხარეს<br>Тбилиси, Кахетинское шоссе, у левой стороны Фоничальского моста | 41 | 392 | 257 | 341 |
| №06 | თბილისი, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის<br>Тбилиси, Между площадью Героев и плавательным бассейном | 27 | 378 | 243 | 327 |
| №07 | თბილისი, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტერ. ლუდის ბარის მიმდებარედ<br>Тбилиси, Левая набережная реки Кура, терр. прилегающая к пивному бару | 26 | 377 | 242 | 326 |
| №08 | თბილისი, თამარაშვილის გამზ., ალ. ყაზბეგი<br>Тбилиси, пр. Тамарашвили, на пересечении с пр. Ал. Казбеги | 26 | 377 | 242 | 326 |
| №09 | თბილისი, გამზ. გელოვანი, ტერ. მევენახეობა-მევენახეობის ინსტიტუტი<br>Тбилиси, Пр. Геловани, терр. ок. института виноводства и виноградства | 20 | 371 | 236 | 320 |
| №10 | თბილისი, გლდანი-დიღმის გზა, ქ. სარაჯიშვილის მიმდებარედ, ხიდთან<br>Тбилиси, Глданско-Дигомская дорога, ок. ул. Сараджишвили, ок. моста | 23 | 374 | 239 | 323 |
| №11 | თბილისი, გურამიშვილის გამზ.-ს შორის, "ცისარტყელას" მოპირდაპირე მხარეს<br>Тбилиси, между пр. Гурамишвили, на противоположной стороне п/о "Цисарткела" | 24 | 375 | 240 | 324 |
| №12 | თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან<br>Тбилиси, пр. Акакия Церетели, рядом Мин. соц. Обеспечения | 22 | 373 | 238 | 322 |
| №13 | თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოპირდაპირე მხარეს<br>Тбилиси, пр. Акакия Церетели, напротив Мин. соц. Обеспечения | 23 | 374 | 239 | 323 |
| №15 | თბილისი, კახეთის გზატკეცილი, II გაჩერება<br>Тбилиси, Кахетинское шоссе. II остановка | 38 | 389 | 254 | 338 |
| №16 | თბილისი, ბაგრატიონის მოედანი, ორთაჭალაჰესთან. 72-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორია<br>Тбилиси, площадь Багратиони, вблизи Орртачалагеси. Прилегающая территория средней школы № 72 | 32 | 383 | 248 | 332 |
| №17 | თბილისი, კროპოტკინისა და წურწუმიას გზაჯვარედინზე<br>Тбилиси, Перекресток ул.Кропоткина и Цурцумия | 31 | 382 | 247 | 331 |
| №18 | თბილისი, ქ. ჯავახეთი, ქ. კალოუბანი და ქ. შუამთა გზაჯვარედინზე<br>Тбилиси, Перекресток ул. Джавахети, ул. Калоубани, ул. Шуамта | 36 | 387 | 252 | 336 |
| №19 | თბილისი, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ<br>Тбилиси, 13-й км ал. Агмашенебели | 18 | 369 | 234 | 318 |
| №20 | რუსთავი, თბილისი-რუსთავი გზატკეცილის მე-20 კმ<br>Рустави, 20й км шоссе Тбилиси - Рустави | 45 | 396 | 261 | 345 |
| | რუსთავი, აღმაშენებლის გამზირი 1.<br>г. Рустави, проспект Агмашенебели 1. | 45 | 396 | 261 | 345 |
| | | | | | |

ლოტი 2

Лот 2

წინამდებარე ლოტისთვის გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ერთ ლიტრ საწვავზე განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძეგვი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ბათუმი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ქუთაისი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ყულევი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

Для данного лота стоимость транспортировки за литр топлива определяется следующим образом:

Дзегви - [-] лари с НДС;

Батуми  - [-] лари с НДС;

Кутаиси - [-] лари с НДС;

Кулеви - [-] лари с НДС;

| № აგს / АЗС | მისამართი / Адрес | ძეგვი<br>Дзегви | ბნტ<br>БНТ | ქუთაისი<br>Кутаиси | ყულევი<br>Кулеви |
|---|---|---|---|---|---|
| | | კმ /км | კმ /км | კმ /км | კმ /км |
| №21 | ბათუმი, ქ. შავშეთის 25<br>г. Батуми, ул. Шавшети 25 | 357 | 10 | 157 | 104 |
| №22 | ბათუმი, ქ. გოგოლი 1<br>г. Батуми, ул. Гоголя 1 | 357 | 10 | 157 | 104 |
| №23 | ბათუმი, ქ. აღმაშენებელი 4. (ანგისა).<br>г. Батуми, ул. Агмашенебели 4. (Ангиса). | 357 | 10 | 157 | 104 |
| №A7 | ფოთი, რკალი ქ. რუსთაველი<br>г. Поти, дуга ул. Руставели | 305 | 76 | 105 | 32 |
| №A11 | ქობულეთი, ქ. მ.აბაშიძის No14<br>г. Кобулети, ул. М. Абашидзе № 14 | 330 | 22 | 130 | 78 |
| №A22 | ზუგდიდი, ქ. აღმაშენებლის 185<br>г. Зугдиди, ул. Агмашенебели 185 | 312 | 157 | 120 | 63 |
| №A23 | ზუგდიდი, ქ. გ.გულუა, 26<br>г. Зугдиди, ул. Г. Гулуа, 26 | 312 | 157 | 120 | 63 |
| | ქობულეთი, ჩაქვი, ქ. თამარ დედოფლის 22ბ.<br>г. Кобулети, пос. Чакви, ул. Царицы Таматы 22б. | 350 | 18 | 150 | 90 |
| | ქალაქი ოზურგეთი, ქ. კოსტავას 92<br>г. Озургети, ул. Костава 92 | 291 | 54 | 95 | 80 |
| | ლანჩხუთი, ს. გრიოლეთი<br>г. Ланчхути, с. Гриролети | 300 | 60 | 100 | 73 |

ლოტი 3

Лот 3

წინამდებარე ლოტისთვის გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ერთ ლიტრ საწვავზე განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძეგვი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ბათუმი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ქუთაისი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ყულევი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

Для данного лота стоимость транспортировки за литр топлива определяется следующим образом:

Дзегви - [-] лари с НДС;

Батуми  - [-] лари с НДС;

Кутаиси - [-] лари с НДС;

Кулеви - [-] лари с НДС;

| № აგს / АЗС | მისამართი / Адрес | ძეგვი Дзегви | ბნტ БНТ | ქუთაისი Кутаиси | ყულევი Кулеви |
|---|---|---|---|---|---|
| | | კმ /км | კმ /км | კმ /км | კმ /км |
| №A6 | გორი, ცხინვალის გზატკეცილი 2<br>г. Гори, Шоссе Цхинвали 2 | 80 | 293 | 149 | 246 |
| №A16 | კასპი, ოკამი, გზატკეცილი თბილისი-ქუთაისი 48-ე კმ.<br>г. Каспи. с. Оками, Магистраль Тбилиси-Кутаиси  48 км. | 50 | 240 | 179 | 277 |
| №A17 | მცხეთის რაიონი,  მისაქციელი,<br>р-он Мцхета, с. Мисакциели, | 28 | 353 | 206 | 304 |
| №A4 | ხაშური, ქ. სტალინი 145<br>г. Хашури, ул. Сталина 145 | 128 | 244 | 100 | 198 |
| №A5 | ბორჯომის რაიონი, ქ. ბაკურიანი, ქ. ბორჯომი<br>р-он Боржоми,с. Бакуриани, ул. Борджоми | 185 | 274 | 153 | 250 |
| №A12 | ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა 1<br>г. Ниноцминда, ул Тависуплеба 1 | 295 | 408 | 264 | 362 |
| №A14 | ქალაქი ახალქალაქი, აღმაშენებლის ქუჩა 2<br>г. Ахалкалаки, ул Агмашенебели 2 | 278 | 390 | 246 | 343 |
| | ქალაქ ახალციხე, აბასთუმნის გზატკეცილი<br>г. Ахалцихе, Абастумани шоссе | 185 | 322 | 180 | 273 |

ლოტი 4

Лот 4

წინამდებარე ლოტისთვის გადაზიდვის ღირებულება ყოველ გადაზიდულ ერთ ლიტრ საწვავზე განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძეგვი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ბათუმი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ქუთაისი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

ყულევი - [-] ლარი დღგ-ს ჩათვლით;

Для данного лота стоимость транспортировки за литр топлива определяется следующим образом:

Дзегви - [-] лари с НДС;

Батуми - [-] лари с НДС;

Кутаиси - [-] лари с НДС;

Кулеви - [-] лари с НДС;

| № აგს / АЗС | მისამართი / Адрес | ძეგვი Дзегви | ბნტ БНТ | ქუთაისი Кутаиси | ყულევი Кулеви |
|---|---|---|---|---|---|
| | | კმ /км | კმ /км | კმ /км | კმ /км |
| №A2 | წყალტუბოს რაიონი, თან. ქვიტირი<br>р-он Цхалтубо, с. Квитири | 227 | 149 | 9 | 125 |
| №A3 | ამბროლაური, ქ. ვაჟა ფშაველას 8<br>г. Амбролаури, ул. Важа Пшавела 8 | 255 | 239 | 80 | 194 |
| №A8 | ტყიბული, ქ. ტყვარჩელის 27<br>г. Ткибули, ул. Тkварчели 27 | 216 | 200 | 37 | 155 |
| №A9 | ონის ქ. ვახტანგ VI<br>г. Они ул. Вахтанга VI | 281 | 240 | 103 | 220 |
| №A10 | ზესტაფონი, ქ. აღმაშენებლის №10<br>г. Зестафони, ул. Агмашенебели № 10 | 171 | 179 | 35 | 150 |
| №A13 | ხონი, ქ. ჭანტურია 153<br>г. Хони, ул. Чантуриа 153 | - | 140 | 31 | 90 |
| №A15 | ქუთაისი, ქ. ასათიანი 98<br>г. Кутаиси, ул. Асатиани 98 | 208 | 139 | 5 | 120 |
| №A19 | ქუთაისის ქ. სულხან საბა 2<br>г. Кутаиси ул. Сулхан Саба 2 | 208 | 139 | 5 | 120 |
| №A1 | ჭიათურა, მღვიმევის 4ბ<br>г. Чиатура, ул. Мгвимеви 4б | 166 | 217 | 72 | 186 |
| № 24 | საჩხერე, ქ. თამარ მეფე N19<br>г. Сачхере, ул. Тамар Мефе № 19 | 155 | 233 | 87 | 200 |
| № 25 | ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. 45<br>г. Зестафони, ул.Старосельского № 45 | 175 | 182 | 35 | 150 |
| | ვანი, ტაბიძის ქუჩასთან<br>г. Вани, возле ул. Табидзе | 240 | 127 | 43 | 90 |
| | სენაკი, ქ. მშვიდობის 172<br>г. Сенаки, ул. Мшвидобис 172 | 260 | 110 | 70 | 40 |
| | ქალაქი მარტვილი, ქ. მშვიდობის 115<br>г. Мартвили, ул. Мшвидобис 115 | 260 | 150 | 50 | 80 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ცაგერი, რუსთაველის ქუჩა 1г. Цагери, улю Руставели 1 | 300 | 200 | 70 | 150 |

| | |
|---|---|
| გამგზავნი:<br>შპს ,,ლუკოილ- ჯორჯია"<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302<br><br>დირექტორი<br><br>____________________ [-]<br><br><br>გადამზიდი:<br>[-]<br>საიდენტიფიკაციო კოდი: [-]<br><br>ანგარიშის ნომერი: [-]<br><br>დირექტორი<br><br>____________________ [-] | Отправитель:<br>ООО "ЛУКОЙЛ-Джорджия"<br>Идентификационный код: 204976302<br><br>Директор<br><br>____________________ [-]<br><br>Перевозчик:<br>[-]<br>Идентификационный код: [-]<br><br>№ СЧЕТА: [-]<br><br><br>Директор<br><br>____________________ [-] |